პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990
24 თებერვალი შაბათი
№24 (6251)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

არდევან შოთას ძე გოლეთიანი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **არდევან შოთას ძე გოლეთიანი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.



1977 წელს ა. გოლეთიანი დაინიშნა ცაგერის რაიონის მთავარ პედიატრად. 1978-1981 წლებში მუშაობს ღვირიშის საექიმო ამბულატორიის გამგედ.

1981-1983 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურის კურსი ქალაქ თბილისში.

1983 წლიდან დღემდე მუშაობს ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

1989 წლიდან არის ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი. არის უპარტიო, უცოლშვილო. ცხოვრობს ცაგერის რაიონის სოფელ ღვირიშში.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობამ.

არდევან შოთას ძე გოლეთიანი დაიბადა 1953 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ღვირიშში, 1970 წელს დაამთავრა ღვირიშის საშუალო სკოლა, 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები:

დეპუტატად არჩევის შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნია დაეყენოს და მხარი დაუჭიროს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის გაუქმებას.

ქართული საჯარისო ფორმირებების აღდგენას.

საქართველოს პატიმართა სასჯელის საქართველოში მოხდას.

საკუთრების სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებას.

საქართველოში ანტიქართული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების შექმნისა და არსებობის აღმკვეთი განსაკუთრებული კანონების შემოღებას.

საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საკავშირო უწყების უფლებების გაუქმებას.

საქართველოს რესპუბლიკის გადაქცევას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას. აზრთა და პოზიციათა პლურალიზმის რეალურ უზრუნველყოფას. ადმინისტრაციის სრულ დაქვემდებარებას არჩევითი ხელისუფლებისადმი, მრავალპარტიულობის განხორციელებას.

ეკოლოგიური, დემოგრაფიული, მოქალაქეთა სოციალურ-კულტურული და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

სასურსათო პროგრამა: ყველა რეზერვი მწყობრში

მოიჯარეთა წვლილი

უკვე ორი წელია, რაც ლასურიაშის კოლმეურნეობაში საიჯარო შრომა დაინერგა, იჯარაში ჩაბმულ ოჯახებზე ხელშეკრულებით გაიცა ზვარი თუ სასიმინდე უანა, მეცხოველეობის ფერმიდან—პირუტყვი, რამაც კოლმეურნეობის ეკონომიკურ წინსვლას საიმედო წანამძღვრები შეუქმნა.

დეხვირელი შალვა ჩიქოვანის ოჯახს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმიდან 1 ფური ჰყავს გაყვანილი, ამასთან უვლის სასიმინდე და ვენახის ნაკვეთებს და სახელმწიფოს გასულ წელს 250 კილოგრამი ხორცი და 50 კილოგრამი ყველი ჩააბარა, ასევე კუჭიკო სილაგაძის ოჯახი, რომელმაც ოჯახური მეურნეობიდან სახელმწიფოს 420 კილოგრამი ხორცი და 40 კილოგრამი ყველი მიჰყიდა.

ანზორ ალექსანდრეს ძე მუშკუდიანი კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირია, ამასთან იგი კოლმეურნეობაში სამაგალითო მოიჯარეა, ჰყავს ფერმიდან გაყვანილი ფური და მუშა გამწევი ძალა, მისმა ოჯახმა 350 კილოგრამი ხორცი მიუწონა დამამზადებელ პუნქტს. კოლმეურნეობის მოწინავე მოიჯარეა ასევე ჯემალ ივანეს ძე ჭაბუკიანი, რომლის ოჯახიდან სახელმწიფოს 250 კილოგრამი ხორცი, 40 კილოგრამი ყველი მიეყიდა. რამინ სილაგაძეს სოფელ ლესინდში აქვს ოჯახი, მასაც ჰყავს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმიდან გაყვანილი მეწველი ფური და სახელმწიფოს 300 კილოგრამი ხორცი და 25 კილოგრამი ყველი მიჰყიდა.

ასევეა მახაშელი აბესალომ ტვილიდიანის, აღველი კაკო ჩხეტიანის ოჯახები, რომლებმაც საკარმიდამო მეურნეობიდან შესაბამისად 230 და 300 კილოგრამი ყველი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა 1989 წლის ხორცისა და რძის მიყიდვის საგეგმო დავალებანი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია

მიწის ბედი ხალხის ბედია

საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელიც 20 თებერვალს დილით გაიხსნა ა. ი. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით, უზენაესი საბჭოს წევრებმა თავმჯდომარის წინადადებით განაგრძეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვა.

როგორც ამ საკითხის თაობაზე გამართული დისკუსიის წინა რაუნდებში, ამჯერადაც იყო იმათი წინააღმდეგობა, ვინც დარწმუნებულია, რომ გლეხებს უთუოდ უნდა მიანიჭონ მიწის საკუთრების უფლება, და იმათიც, ვინც ამაში ნაადრევ და საზიფათო ნაბიჯსაც კი ხედავს, როგორც, მაგალითად, დეპუტატი ა. თ. კასიანოვი ფიქრობს, პროექტის მიერ შემოთავაზებული „უკულმა კოლექტივიზაცია“ ვერ გამოკვებავს ქვეყანას. მისი აზრით, უნდა უზრუნველყოთ არსებული მეურნეობების ქმედუნარიანობა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დაცვა-შენახვა და გადამუშავება. ასეთი პასუხსაგები დოკუმენტი არ შეიძლება ავამოქმედოთ ნაჩქარევად, იგი ჯერ უნდა მოიწონონ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების ახალმა შემადგენლობებმა.

გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების მომავლისა და პერსპექტივების თაობაზე სკეპტიკური შეხედულება გამოთქვა დეპუტატმა ვ. შტეპამ. მან დამსწრეთ მოუწოდა ყურადღება მიაპყრონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ამაღლებას.

მტკიცედ აღუდგა წინ მიწის საკითხში სტატუსს—კვოს კონსერვაციის მომხრეებს დეპუტატი ვ. ი. ბელოვი. როგორც მან თქვა, „მარქსიზმზე დაფუძნებული მატონყმობა უნდა მოისპოს და გლეხი უნდა გახდეს თავისუფალი ყველაფრისაგან, მიწის გარდა“. თუ ჩვენს კამათსა და სხდომებს ისტორიაში დარჩენა უწერია, შენიშნა მან, ეს მოხდება მხოლოდ დღეს ამ უმნიშვნელოვანესი კანონის მიღების წყალობით.

განსახილველი დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ აზრს დაეთანხმა ორატორთა უმრავლესობა, რომლებსაც შეჰქონდათ მისი მუხლების როგორც სტილისტური, ისე პრინციპული ხასიათის შესწორებები.

დისკუსია კანონპროექტის გარშემო დამთავრდა. ხმათა უმრავლესობით დეპუტატებმა მოიწონეს ძირითადად მეორე კითხვაში განხილული პროექტი. პარლამენტის აგრარული საკითხებისა და სურსათის, კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხების კომიტეტებს ყველა სხვა კომიტეტისა და პალატების მუდმივი კომისიების წარმომადგენელთა მონაწილეობით სახალხო დეპუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დაევალათ ერთ კვირაში დახვეწონ პროექტი და მისაღებად შეიტანონ იგი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვა. მასში, კერძოდ, უზენაესი საბჭო ავალებს სსრ კავშირის მთავრობას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მართლწესრიგის დასაცავად.

ამით პლენარული სხდომა მთავრდება. კვირის დამლევამდე, დეპუტატები იმუშავებენ კომიტეტებსა და კომისიებში. 26 თებერვალს ისინი კვლავ შეიკრიბებიან კრემლში. გაიმართება პალატების ცალ-ცალკე სხდომები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის № 201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შრომითმა კოლექტივმა ჩემი კანდიდატურა წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად №201 საარჩევნო ოლქში, რაზედაც უღრმეს მადლობას ვუხდი მათ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი რაიონის მშრომელების და ამომრჩევლებისაგან არჩევნების დღეს საკმაო მხარდაჭერას მივიღებდი. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში რაიონისათვის გათვალისწინებული ერთი დეპუტატის ადგილზე უკვე რეგისტრირებულია 8 ამხანაგი და მე, როგორც რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს თანამდებობით მევალება რაიონისა და რესპუბლიკის პრობლემებისათვის ზრუნვა, გადავწყვიტე მოვხსნა ჩემი კანდიდატურა, მხარი დავუჭირო რეგისტრირებულ კანდიდატურებს შორის ყველაზე ღირსეულს და ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში აქტიური მონაწილეობით და შრომითი საქმიანობით გავაკეთო ყველაფერი ჩვენი რაიონისა და რესპუბლიკის უკეთესი მომავლისათვის.

დავით იაკობის ძე სვანიძე,
ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

გადაწყდება მშრომელთა სურვილით

ასეთი ხალხმრავლობა ჩხუტელის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე დიდი ხანია არ ყოფილა, დარბაზმა გაჭირვებით დაიტია კრებაზე დასწრების მსურველნი. ეს ინტერესი ძირითადად განპირობა იმან, რომ მოსახლეობაში ხმა გავრცელდა კოლმეურნეობა უქმდებაო.

კრება თავიდანვე თავისი რიგითა და წესით წარიმართა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. ჭარსელაძე, კამათში მონაწილეობა მიიღეს კოსტა, შალვა კვირკაშვილებმა, ვალიკო სილაგაძემ, მიხეილ ეფაძემ, ციცო ბეჭინაძემ და სხვებმა. მათ ანალიზი გაუკეთეს გასულ წელს კოლმეურნეობის მიერ გატარებულ მუშაობას.

აღინიშნა, რომ ჩხუტელის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა რაიონში. აქ, შეიძლება თქვას, ძირითადში მთლიანად დაინერგა ოჯახური იჯარა, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი მოსავლიანობის გაზრდას, დასახელდა მოწინავე მოიჯარეები მესიმინდეობაში თალიკო, ჯუმბერ, ეორა, გოგუცა კვირკაშვილები, მიშა, გიზო, ექვთიმე გუგავები, ზაურ გვიშიანი, ბენია სილაგაძე, ერმილე თვარაძე და სხვები, რომლებმაც სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს, კოლმეურნეობასაც ჩააბარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდი, ლობიო და ოჯახის ხვავი და ბარაქაც შეავსეს. ასევე ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღეს უენია მურცხვალაძემ, ამბროსი მეშველიანმა, ინგელი კეკუტიამ, ომარ ახვლედიანმა, მირზა დაშნიანმა, ოთარ ახვლედიანმა, დომენტი მეშველიანმა, ზაურ გვიშიანმა, გრიშა ახვლედიანმა, გიზო და ექვთიმე გუგავებმა და სხვებმა.

კოლმეურნეობამ ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა დიდი გადაჭარბებით აბრეშუმის პარკის დამზადების დავალება. წარმატებებია კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. გადაჭარბებით შეასრულეს რძის დამზადების გეგმა-დავალებები.

მაგრამ კრებაზე ხაზი გაესვა იმას, რომ როგორც რაიონის სხვა მეურნეობებმა, ჩხუტელის კოლმეურნეობამაც ორი წელია დათმო მევენახეობაში პოზიციები. შემცირდა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, არ სრულდება ყურძნის სახელმწიფოზე მიყიდვის დავალება. ერთეულ მოიჯარეთა წარმატებამ საქმეს ვერ უშველა. მართალია, ცუდი კლიმატური პირობები იყო, მაგრამ კვლავ დაბალია მევენახეთა მეტი წილის დაინტერესება, ნაკლოვანებანი.

კოლმეურნეობამ ორ ადგილზე ბოსტნეულის ნარგავი გაიშალა. ეს ადგილები ადგილობრივ ბაზარზე ბოსტნეულის ფასებს ეცემ

სიახლე პენსიონერთა უზრუნველყოფაში

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 1980 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით ქალაქებისა და რაიონების სოციუზრუნველყოფის განყოფილებებში მსუბუქი ავტომანქანების შეძენის მსურველთა აღრიცხვაზე აყვანისათვის დაწესებული იყო სამი რიგი:

1. მომუშავე და არა მომუშავე სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის;

2. არამომუშავე ინვალიდებისათვის („ა" პუნქტში ჩამოთვლილ პირთა გარდა) და ასაკით პენსიონერებისათვის;

3. პერსონალური პენსიონერებისათვის.

ამასთან ავტომანქანის შეძენის მსურველთა რიგში აყვანა ხდებოდა სახურველი ავტომანქანის მოდელის მიხედვით ცალ-ცალკე სიებით.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით მსუბუქი ავტომანქანების და ავეჯის ნაღდ ანგარიშზე შესაძენად ომის და მათთან გათანაბრებულ ინვალიდთა და მონაწილეთა აღრიცხვაზე აყვანის და მიყიდვის წესი ნაწილობრივ შეცვალა. კერძოდ:

იმის გამო, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო მსუბუქ ავტომანქანებსა და ავეჯს ღებულობს მხოლოდ სამამულო ომის და მათთან გათანაბრებულ ინვალიდებზე, ომის მონაწილეებზე და მებრძოლ ინტერნაციონალისტებზე გასაცემად, ქალაქებისა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში მსუბუქი ავტომანქანის და ავეჯის შეძენის მსურველთა აღრიცხვაზე აყვანისათვის წესდება მხოლოდ ერთი რიგი, მომუშავე და არამომუშავე სამამულო ომის, მათთან გათანაბრებული ინვალიდების, ომის მონაწილეებისა და მებრძოლი ინტერნაციონალისტებისათვის, მათთვის დანიშნული პენსიის სახეობის მიუხედავად.

ამასთან მსუბუქი ავტომანქანის მსურველთა აღრიცხვა მოხდება განცხადების თარიღის მიხედვით ერთ სიაში და მანქანები არ იქნება აღრიცხული მოდელების მიხედვით.

თუ ინვალიდს რიგით უწევს მსუბუქი ავტომანქანა ან ავეჯი და გამოთქვამს სურვილს სხვა მოდელის ავტომანქანაზე ან ავეჯზე, განყოფილება ვალდებულია შესთავაზოს მას ფონდით მიღებული ავტომანქანა ან ავეჯი და შეუნარჩუნოს რიგი.

საყურადღებოა ერთი სიახლე— ინვალიდის გარდაცვალების შემთხვევაში იგივე რიგი უნარჩუნდება გარდაცვლილის მეუღლეს ან მშობელს, თუ ისინი პენსიას ღებულობენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან, მაგრამ არაუადრეს 1989 წლის 1 ოქტომბრის თარიღისა, როდესაც ისინი შეღავათით გაუთანაბრდნენ სამამულო ომის მონაწილეებს (საფუძველი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 4 აპრილის №-305 დადგენილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 1 აგვისტოს კანონი „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" მუხლი-7).

ზემოხსენებული წესის შეცვლასთან დაკავშირებით მოქალაქეებს რომლებიც აყვანილი არიან მსუბუქი ავტომანქანებისა და ავეჯის შეძენის მსურველთა რიგში მომავალში რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ვთხოვთ გამოცხადდნენ რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში, განყოფილებაში პირადად გამოცხადებას ვთხოვთ აგრეთვე ყველა იმ პენსიონერ მოქალაქეს, რომლებსაც სურთ მომავლისათვის აყვანილი იქნენ მსუბუქი ავტომანქანისა და ავეჯის შეძენის მსურველთა რიგში სათანადო ფორმის განცხადების ადგილზე შევსების მიზნით.

ნ. ცვარიანი,
ცაგერის რაისოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

ინფორმაციის ბვიურეტენი

ვებრძოლოთ იაპონურ ცრუფარიანას

იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანას მატლები აზიანებენ 100-ზე მეტი სახეობის კულტურულ, სუბტროპიკულ და ველურ მცენარეებს. რაჭა-ლეჩხუმში ძლიერ აზიანებს კეთილშობილ დაფნას, სუბტროპიკულ ხურმას, თუთას, ვაშლს, მსხალს, კომშს, ქლიავს და სხვა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ვაზი, რომელზედაც მართალია სახლდება, მაგრამ დაზიანება არ არის ძლიერი.

მატლების მიერ ფოთლების, ყლორტების, ღეროების ქსოვილებიდან საკვების ამოწუწვნის გამო მცენარეში ირღვევა წვენთა მოძრაობა, მცირდება ორგანული მასა. იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანას მავნე მოქმედებას აძლიერებს ის, რომ მის გამონაყოფზე სახლდება სოკო— კაპნოდიუმი, მისი შავი ფერის ქერქით იფარება ფოთლების ზედაპირი, მცენარეში მცირდება ფოთლების ფოტოსინთეზის ენერგიის და ასიმილაციის უნარი, დაზიანებულ და დასუსტებულ მცენარეს ფოთლების დიდი ნაწილი ცვივა. ინტენსიურად გამრავლების დროს მცენარის ღერო-ტოტების ნაწილი და ზოგჯერ მთელი მცენარე ხმება.

ბრძოლის ღონისძიებანი: მავნებლის მიმართ უნდა გატარდეს მოსპობითი ღონისძიება—პესტიციდების სითხის სახით შესხურება, შესხურება უნდა ჩატარდეს მავნებლის მოზამთრე ფაზაზე—გაზაფხულზე (მარტის თვეში) პრეპარატ №8-ის 3 პროცენტიანი ემულსიისა და ფოზალონის 0,2 პროცენტიანი სამუშაო ემულსიის კომბინირებული ნაზავით (100 ლიტრ წყალზე აიღება 3 კილოგრამი პრეპარატი, 200 გრ. ფოზალონი).

ზაფხულში (ივლის-აგვისტოში) მატლების წინააღმდეგ—ფოზალონის 0,3 პროცენტიანი ან ბი-58-ის 0,2 პროცენტიანი სამუშაო ემულსია (100 ლიტრ წყალზე აიღება 300 გრ. ფოზალონი ან 200 გრ. ბი-58).

ნანული შალამბერიძე,
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის სექტორის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ომსკში გაიმართა გამოფენა, რომელზეც შეჯამდა თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების საბაზო კლუბის საოლქო დათვალიერება-კონკურსის შედეგები.

გამოფენის ერთ-ერთი მიზანია დააინტერესოს საწარმოები და ორგანიზაციები წარმოდგენილი მანქანა-პრეპარატების სერიული წარმოებით, რომელთა დიდ ნაწილს სამამულო წარმოება არ უშვებს.

სურათზე: ვ. მ. გორიშევის ყველგანმავალი კარგი თანაშემწე გახდება სოფლის მშრომელთათვის.

ა. კოსიცინის ფოტო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

სად გაქრნენ წითელსამკლაურიანები

ᲔᲠᲗᲘ თუ ორი წლის წინათ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის სამკლაურს ატარებდა ქალაქში მომუშავე ათობით ადამიანი. ესენი იყვნენ მოქალაქეთა საუკეთესო წარმომადგენლები, ყველა მათგანს ჰქონდა საკუთარი შრომითი, საოჯახო თუ პირადი საქმეები, მაგრამ მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება უფლებას არ აძლევდათ განზე გადგომოდნენ მოქალაქეთა პატივისა და ღირსების კეთილშობილურ საქმეში აქტიურ მონაწილეობას.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ნამდვილად რომ დიდია სახალხო რაზმელთა როლი და მონდომებული მუშაობის მნიშვნელობა ამას მტკიცება არ სჭირდება. მათი ფხიზელი თვალით, გამჭრიახი გონებით ბევრი მოსალოდნელი უსიამოვნება შეიძლება ავიცილოთ თავიდან.

ისიც ცხადია, თუ ოდესმე იყო საჭირო სახალხო რაზმელთა მორიგეობა, დღეს უფრო მეტადაა აუცილებელი. მარტო ის რად ღირდა, რომ 14 თებერვლის ღამის შემაძრწუნებელი ფაქტის თავიდან აშორებას თუ შეძლებდნენ. სწორედ ამან გაგვახსენა ქუჩებში, ხალხმრავალ ადგილებში პატიოსანი, წესიერი, შეგნებული ადამიანების მორიგეობა.

სახალხო რაზმელი—საპატიო მოვალეობაა და ნურავინ დაიზარებს აღდგეს ამ საქმიანობის ტრადიცია ჩვენი ხალხისათვის მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრების შესაქმნელად.

შიდსი და მისი პროფილაქტიკა

შიდსი, ანუ შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი ვირუსული დაავადებების ჯგუფს მიეკუთვნება. შიდსის ვირუსისათვის შერჩევითად დამახასიათებელია ორგანიზმში არსებული T—ლიმფოციტების გამანადგურებელი ზემოქმედება, ხოლო T-ლიმფოციტებზე დამოკიდებულია ორგანიზმში იმუნური სისტემის ნორმალური მუშაობა. ვირუსი ანადგურებს რა T—ლიმფოციტებს, იწვევს ორგანიზმის იმუნური სისტემის დათრგუნვას, რის გამოც ქვეითდება ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი წინ აღუდგეს შეჭრილ ვირუსს, ვითარდება იმუნო-დეფიციტი.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული, ან ზოგჯერ ვირუსის უსიმპტომო მატარებელი ადამიანი, რომელიც შეიძლება ინფექციის გავრცელების წყარო იყოს წლების, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

დაავადების გადაცემის მექანიზმში წამყვანია ბუნებრივი გზა, ანუ სქესობრივი კონტაქტი. ასევე დიდი როლი ენიჭება ინფექციის პარენტელარულად გავრცელების მექანიზმს, რაც განპირობებულია ავადმყოფის სამედიცინო დახმარების პროცესში არასტერილური შპრიცებით, ნემსებით და იარაღებით ინფექციის ხელოვნურად შეტანის შედეგად.

ვირუსი, დაავადებული ადამიანიდან ჯანმრთელზე გადაეცემა სპერმის და სისხლის (პლაზმის) გადასხმის გზით, პირველი გადაიტანება ბუნებრივი სქესობრივი კონტაქტით, ხოლო მეორე ხელოვნურად გაჭუჭყიანებული არასტერილური გადასხმის სისტემებით, ნემსებით, ქირურგიული იარაღებით, დაინფიცირებული სისხლის გადასხმით.

პირველად შიდსი 1979 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვლინდა, ხოლო დაავადების პირველი აღწერა-რეგისტრაცია 1981 წელს მოხდა, 1985 წლის დამლევს აშშ-ში 13100 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული, ხოლო ევროპაში 12000 შემთხვევა. ეჭვი დაავადების ვირუსული ბუნების შესახებ დადასტურდა 1983 წელს ფრანგი მეცნიერის მიერ, მას შემდეგ შიდსის დაავადება გავრცელდა ევროპის, აფრიკის, აზიის და სხვა კონტინენტზე, ამჟამად შიდსი განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ის, დანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის ქვეყნებში. მედიკოსებმა შემთხვევით როდი უწოდეს შიდსის დაავადებას მეოცე საუკუნის შავი ჭირი, იგი განპირობებულია დაავადების კლინიკური გამოვლინების მძიმე შედეგებით და დაავადების გავრცელების პანდემიური ხასიათით. ამჟამად შიდსის დაავადება გავრცელებულია 40-ზე მეტ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირში შიდსის შემთხვევა დაფიქსირებული იქნა 1987 წელს, დაავადება გამოუვლინდა დიპლომატური კოპუსის მოქალაქეს, რომელიც ოფიციალური ვიზით აფრიკის ერთ-ერთ სახელმწიფოში იმყოფებოდა, მას შემდეგ დაავადების შემთხვევები კავშირის მასშტაბით დღითიდღე იზრდება, რაც მიუთითებს ჯანდაცვის სამედიცინო ქსელის სუსტ მუშაობაზე.

საქართველოში შიდსის დაავადება არ არის რეგისტრირებული, ხოლო შიდსის ვირუსის მტარებლობის 4-შემთხვევა გამოვლინებულ იქნა ფოთის საზღვაო სასწავლებლის მსმენელებში, რომლებიც აფრიკის ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსული. ოთხივე პირი ოპერატიულად დეპორტირებული (გასახლებული) იქნენ საქართველოს ფარგლებიდან.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

შიდსი და მისი პროფილაქტიკა

(დასასრული)

მკითხველებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება იცოდნენ, რომ შიდსის დაავადებების პირველი შემთხვევები აღრიცხული იქნა მამაკაცებს შორის, რომლებიც გაუკუღმართებულ სქესობრივ ცხოვრებას ეწევიან ერთმანეთში. პროცენტული შეფარდების მიხედვით შიდსით დაავადებულთა 79-პროცენტი ჰომოსექსუალისტებზე და ბისექსუალისტ მამაკაცებზე მოდის, 17 პროცენტი ნარკომანებია, რომლებიც ჰეროინის ნარკოტიკს ვენაში იკეთებენ, 2 პროცენტი ჰემოფილიით დაავადებულია, რაც ინფიცირებული სისხლის გადასხმის შედეგია, ხოლო ერთი პროცენტი ჰეტერო-სექსუალური გზით ავადდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დაავადების შემთხვევები მით უფრო ხშირია, რაც უფრო აღვირახსნილია ცხოვრების ნირი, რაც მეტია პარტნიორები სქესობრივი კავშირების და ნარკოტიკების ხმარებაში.

შიდსის და ვენერიული დაავადებების თავიდან აცილების გარანტიას მოსახლეობის ცხოვრების მაღალი კულტურის დამკვიდრება იძლევა, რისთვისაც რაიონის სამედიცინო სამსახურის მიზანია მოსახლეობას რაც შეიძლება ფართო ინფორმაცია მივაწოდოთ შიდსის დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიებების საკითხებზე, რათა მოქალაქეებმა შესძლონ კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. უნდა გვახსოვდეს, რომ შიდსის წინასწარი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით შეიძლება მისი თავიდან აცილება, ხოლო დაავადების შემთხვევაში არ არსებობს მკურნალობის რადიკალური მედიკამენტოზური საშუალება.

შიდსის ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან დაავადების გამოვლინებამდე ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა ერთი წლიდან—4-წლამდე დროს მოიცავს. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა თავის მხრივ ართულებს ეპიდემიურ სიტუაციას და ძალზე ზრდის კონტაგიოზობის მაჩვენებელს.

დაავადების კლინიკურ მიმდინარეობაში არჩევენ სამ ფორმას, უსიმპტომო მტარებლების, ლიმფადენოპათიურ და მანიფესტურ (მძიმე) ფორმას. დაავადების მძიმე კლინიკურ მიმდინარეობაზე მიუთითებს მისი საბოლოო შედეგი, შიდსის დაავადების ყველა შემთხვევა სიკვდილით მთავრდება. შიდსის ვირუსით გამოწვეულ დაავადებას მრავალსახოვანი სიმპტომატიკა გააჩნია, რადგან მწყობრიდან გამოდის იმუნური სისტემა. დაავადება მიმდინარეობს ლიმფოდენოპათიის, კაპოშის სარკომის, ან გახანგრძლივებული პნევმონიის ფონზე, ან ამავე სიმპტომების მეტნაკლებად გამოხატული ერთდროული შეუღლებული ფორმით.

ლაბორატორიულად სისხლის ანალიზში აღინიშნება T-ლიმფოციტების უკმარისობა და აშკარად გამოხატული იმუნური დეფიციტის ფონზე ავადმყოფი იღუპება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შიდსით დაავადებული ადამიანის სამკურნალოდ არ არსებობს რადიკალური საშუალება, ყველა დაავადებული განწირულია სასიკვდილოდ, რისთვისაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ და სსრკ ჯანდაცვის სამინისტრომ 1985 წელს შეიმუშავეს შიდსის საწინააღმდეგო წინასწარი პროფილაქტიკური ღონისძიებების რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავენ ორგანიზაციული ხასიათის შემდეგ საკითხებს: ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით მოსახლეობას სისტემატურად ეძლევა განმარტება შიდსის დაავადების რაობის, ვირუსის გადაცემის ფაქტორების, გზებისა და საშუალებების შესახებ. სამედიცინო პერსონალი გაცნობილია შიდსის ეპიდემიოლოგიის კლინიკური დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის საკითხებს. კავშირის მასშტაბით და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკაში ორგანიზებულია რეგიონალური სეროლოგიური ლაბორატორები, სადაც 'მესაძლებელია ყველა მოქალაქემ ანონიმური შემოწმება გაიაროს ვირუსის მტარებლობაზე. ამ მიზნით ცაგერის მოსახლეობას შეუძლია გამოკვლევები ჩაიტაროს ქუთაისის სისხლის გადასხმის ლაბორატორიის ბაზაზე. წინასწარ შერჩევითად დადგენილია რისკის ჯგუფები, რომლებიც ყოველწლიურად სავალდებულო სეროლოგიურ შემოწმებას გადიან შიდსის ვირუსის მტარებლობაზე. ამ მიზნით რაიონის მთავარი ექიმის ბრძანებით შექმნილია სამედიცინო კომისია, რომელიც ორგანიზაციას უწევს რაიონში რისკის ჯგუფების გამოკვლევებს. გამოკვლევას ექვემდებარებიან სისხლის პლაზმის და სპერმის დონორები, ორსულები, ჰემოფილიით დაავადებული პირები, ნარკომანები, სექსუალისტები, ბისექსუალისტები, უცხოელი მოქალაქეები, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით მიმავალი საბჭოთა მოქალაქეები, ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული პირები, ვენერიული სენით დაავადებულები და სხვა.

გატარებული წინასწარი პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები სრულყოფილად არ მოიცავენ ეპიდრეჟიმები დაცვის, რისკის ჯგუფების ლაბორატორიულ-სეროლოგიურ შემოწმებას ერთიან კომპლექსურ ღონისძიებებს. ნაკლოვანებებია ზოგიერთი რისკის კატეგენტის (ნარკომანების, სექსუალისტების, ბისექსუალისტების, ვენერიულ დაავადებულების) გამოვლინების და ლაბორატორიული შემოწმების საქმეში. აღნიშნულის გამოსასწორებლად და სეროლოგიური გამოკვლევების ორგანიზაციული საკითხების გაუმჯობესების, ზოგიერთი რისკის ჯგუფის გამოვლინებისა და გამოცხადების საქმეში სამედიცინო სამსახურებს ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ადმინისტრაციამ.

ეჭვის გარეშეა რაიონის და რაისაავადმყოფოს ხელმძღვანელობა, სანეპიდსადგურის ადმინისტრაცია დაქვემდებარების სამედიცინო სამსახურებზე დაყრდნობით ორგანიზაციულად სრულყოფენ და პრაქტიკულად განახორციელებენ შიდსის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც გარანტია იქნება დაავადების თავიდან აცილების საქმეში.

ჯ. ყვირილიანი,
ცაგერის რაიონული სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო იუწყება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სამწლიანი სწავლების ჯგუფების პირველი და მეორე კურსების მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები გაიმართება 1990 წლის 25 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით.

მეცადინეობა შეწყდება შაბათს, 24 მარტს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ და განახლდება ორშაბათს, 2 აპრილს.

(საქინფორმი).

ბილოკავი

მაყვალა ხუბუკელიაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას. აღგეზარდოთ თავისუფალი საქართველოს სასახელო მოქალაქენი.

ცაგერის საშუალო სკოლის X-ბ კლასის მოსწავლეები.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო გაცნობებთ, რომ ქალაქ ცაგერში ამოქმედდა ქიმწმენდის საამქრო.

გთხოვთ ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით.

ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

განცხადება

ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქალაქის საპარიკმახეროში ესაჭიროება დამლაგებელი. პირობები: თვეში იმუშავებს 15 დღეს, ანაზღაურება—70 მანეთი.

ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

გელა მამარდაშვილი, ტარიელ დავითულიანი, გივი ქარსელაძე, იუზა დაშნიანი, ჯონი მეგრელი, ჯემალ ჩიკვაიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ახვლედიანი-მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გივი ახვლედიანი, ბანჩო გოლეთიანი, რომან მანდარია, ბიქტორ მეშველიანი, გივი ასათიანი, ზურაბ ხაბულიანი, ზაურ, გოგი ომანაძეები, ბახვა საღინაძე, იუზა მინდაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ახვლედიანი-მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სასურსათო კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტუხუ მანდარიას დედის

რუსუდან ახვლედიანი-მანდარიას

გარდაცვალების გამო.

ამზაირ კიზირია, კარლო, დავით მუშკუდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გალაქტიონ, ტუხუ მანდარიებს მეუღლისა და დედის

რუსუდან ახვლედიანი-მანდარიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის, პროფესიული სახანძრო ნაწილისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გალაქტიონ და ტუხუ მანდარიებს მეუღლისა და დედის

რუსუდან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები ლედი ყურაშვილი, დავარ ლიპარტელიანი, ციცო ჩხეტიანი, ნუნუ ჩაკვეტაძე, ლალი ლარცულიანი, კარლო მუშკუდიანი, ემზარ მდივანი, ტარიელ დავითულიანი, ილარიონ ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თანაკლასელ მაგული მანდარიას დედის

რუსუდან ახვლედიანი-მანდარიას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნუნუ მანდარიას დედის

რუსიკო მანდარიას

გარდაცვალების გამო.

და კალისა, დისშვილები ზაური, დათო, ჯაბული, მზია ჩხეტიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოე კოსტას ძე ხეცურიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ვალერი ახვლედიანს ბიძის

ამირან ფოჩხიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის VII-ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი საშა ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ ნინო ფოჩხიძეს ბიძის

ამირან სამსონის ძე ფოჩხიძის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქირურგიული განყოფილების ყოფილი მედდა

რუსუდან პარიმონის ასული ახვლედიანი-მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ახლოესი მეზობლები ქენია ხეცურიანი, დავით ყურაშვილი, ვარლო ჩაკვეტაძე, იური ჩხეტიანი, მურად ლიპარტელიანი, დათო საღინაძე, გენო ხეცურიანი, დათო გოქაძე, რუბენ კოპალიანი, ზურაბ ასათიანი, ვახტანგ დარახველიძე, გურამ ნემსაძე, ვალოდია თოდიძე, მათიკო მეგრელი, ოლია კვირკაშვილი, ვილგემ მეშველიანი, დათო გიორბელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსიკო პარიმონის ასული ახვლედიანი-მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

მზია, რამაზ კვირკაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ახვლედიანი-მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], ვანყოფილებების: სოფლის შეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** 1 **ინდექსი** 66539, **ტირაჟი** 4461

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სტუდიის საქალაქო კომიტეტის **ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის ბეჭდვა.**